ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის
ო ქ მ ი №01-06/18

დაბა ქედა, 8 დეკემბერი, 2023 წელი

სხდომა დაიწყო: 16:00 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 16:40 საათზე.

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 21 წევრიდან 18 ესწრებოდა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ციწცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
რეზო თურმანიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან წულუკიძე - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
ჯიმშერ სამნიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მარინა ბარამიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა გორგილაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მზია ბოლქვაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა ჟღენტი - საკრებულოს წევრი;
ჯემალ დავითაძე - საკრებულოს წევრი.
ირაკლი მახარაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი;
ვაჟა აბულაძე - საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
დავით სირაბიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
მინდია არძენაძე - საკრებულოს წევრი;
მამუკა გოგოლიშვილი - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ზაზა დავითაძე - საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი;
ნონა თებიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/18 რიგგარეშე სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

8 დეკემბერი, 2023 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ციწცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	—
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	—
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	მზია ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	—
20	გოჩა ჟღენტი	საკრებულოს წევრი	
21	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 8 დეკემბრის №01-06/18 რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

2. „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №35 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

3. „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

4. „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

5. ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი: ბადრი სურმანიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

6. მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი: მამია გვარიშვილი

თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -17
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :
დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 8 დეკემბრის №01-06/18 რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი პროექტი.

(სხდომას შემოუერთდა მზია ბოლქვაძე 16:10 წუთზე.)

1. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა ჯემალ ტაკიძემ საკრებულოს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი 12-95233393-95, 05.12.2023 წელი) და განმარტა, რომ 2023 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შესატანი ცვლილების რეესტრი				
№	პროგრამული კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	თანხა -/+	შენიშვნა
1	02 03 02 01	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება	3 300	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
2	02 04 02	პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტოსახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა	76 000	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
3	05 01 04 01	ქედის მუნიციპალიტეტში, სოფელ გოგიაშვილებში არსებული მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია	2 800	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
4	02 01 13	სპეცტექნიკის შეძენა (ტრაქტორი JSB)	2 700	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
5	05 02 06 01	ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოში არსებული კულტურის სახლისა და ადმინისტრაციული შენობის რემონტი	8 100	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
6	02 09	მთების ელექტროფიკაცია (მათ შორის: საპროექტოსახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა)	6 000	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
7	03 01 01	შპს „ქედის კომუნალურსერვისი"	203 650	ხარჯებიდან მიღებული ეკონომია

8	06 02 10	შშმ პირთა მოვლის საჭიროებისათვის ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფა	14 500	ხარჯებიდან მიღებული ეკონომია
9	06 02 13	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარება	15 800	ხარჯებიდან მიღებული ეკონომია
10	06 02 09	ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლით შეცვლის პროგრამა	6 100	ხარჯებიდან მიღებული ეკონომია
11	06 02 05	გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება	12 500	ხარჯებიდან მიღებული ეკონომია
ჯამი			351 450	

№	პროგრამული კოდი	ასიგნებების დასახელება	თანხა +/-	შენიშვნა
1	02 01 01	შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია	98 900	მუნიციპალიტეტის სასოფლო-საუბნო გზების მყარსაფარიანი (ბეტონის საფარი) ზედაპირის მოწყობისათვის აღნიშნული თანხით შესაძლებელია 400 კუბ.მ მზა ბეტონის შემენა, რომლითაც დაიგება 1100 გრძ. მეტრზე მეტი გრუნტის საფარიანი გზა
2	01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	0	მუხლებს შორის თანხის გადატანა: შრომის ანაზღ-დან საქონელი და მომსახურება 80 000 ლარი და სოციალურში 264 ლარი;
3	06 01 05	მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკმანტებით უზრუნველყოფა	50 000	სოსახლეობის მაღალი მომართვიანობის გამო პროგრამის მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკმანტებით უზრუნველყოფის ბიუჯეტის გაზრდა
4	02 02 02	შპს ,,ქედის წყალკანალი"	0	მუხლებს შორის თანხის გადატანა: სხვა კაპიტალური ტრანსფერებიდან სუბსიდიაშ 4900
5	01 02 01	სარეზერვო ფონდი	15 000	
6	03 01 01	შპს ,,ქედის კომუნალურსერვისი"	0	მუხლებს შორის თანხის გადატანა: სუბსიდიიდან სხვა კაპიტალური ტრანსფერებში 6700
8	02 03 02 01	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება	0	მუხლებს შორის თანხის გადატანა: არაფინანსური აქტივებიდან სხვა ხარჯების კაპიტალური 61840 ლარი
9	04 01 01	ა.ა.ი.პ. ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება	0	მუხლებს შორის თანხის გადატანა: შრომის ანაზღ-დან სოციალურში 2840 ლარი
10	02 03 03 03	მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრებისა და მასში შემავალი სოფლების ცენტრების კეთილმოწყობის,	0	დასახელების ცვლილება, მუხლებს შორის თანხის გადატანა: არაფინანსური აქტივებიდან საქონელი და მომსახურება 25500 ლარი

		ინფრასტრუქტურის მოწყობის და სხვადასხვა ინვენტარის შეძენა		
11	05 02 02	ა.ა.ი.პ. ,,ქედის სახელოვნებო სკოლა"	0	მუხლებს შორის თანხის გადატანა: არაფინანსური აქტივებიდან საქონელი და მომსახურება 2000 ლარი
12	05 01 01	ა.ა.ი.პ ,,ქედის სასპორტო სკოლა"	12 050	1300 ლარი სხვა ხარჯები, 10 750 სხვა ხარჯი ჯილდომუხლებს შორის თანხის გადატანა: საქონელი და მომსახურებიდან სხვა ხარჯებში 560 ლარი
13	05 01 03 03	აიპ ,,ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა"	62 500	შრომის ანაზღაურება 56829 ლარი; საქონელი და მომსახურება 2671 ლარი, არაფინანსური აქტივი 3000
14	06 02 02	ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიატუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება	0	მუხლებს შორის თანხის გადატანა: სოციალური უზრუნველყოფიდან სხვა ხარჯებში 2000 ლარი
15	06 01 06	ქრონიკული დაავადებების სამკურნალო სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა	40	
16	06 02 07	სამედიცინო და სოციალური რეგილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია-რეგილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა	4 500	მოსახლეობის მაღალი მომართვიანობა
17	02 01 06	დაბა ქედის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა	1 460	საბურავებისა და აკუმულატორის შეძენა
ასიგნებების ჯამი			244 450	X
ს ხ ვ ა ო ბ ა			107 000	X

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის საკრებულოში ინიცირების შემდეგ, დამატებით მიღებული შემოსავლიდან და ნაშთზე არსებული რესურსიდან მიზანშწონილია სარეზერვო ფონდი 35 000 ლარით, ხოლო მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფის პუნქტი 10 000 ლარით გაიზარდოს.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა ჯემალ დავითაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს რა თანხა იყო გამოყოფილი მედიკამენტების შესყიდვაზე, რაზედაც მომხსენებელმა ჯემალ ტაკიძემ განმარტა, რომ 2023 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული იყო 350 000 ლარი მედიკამენტების შესაძენად, რომელსაც წლის განმალობაში დაემატა მოთხოვნის შესაბამისად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს მომხსენებლის მიერ დამატებით წარმოდგენილი ცვლილების გათვალისწინებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 2 (ირაკლი მახარაძე და შორენა კარანაძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება N:13, 08.12.2023 წელი).

2. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №35 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა ვაჟა აბულაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №35 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი 12-95233411-95, 07.12.2023 წელი) და განმარტა, რომ საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას განახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ვაჟა აბულაძე). (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული;).
დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2023 წლის 25 დეკემბერს დღის 18:00 საათამდე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2023 წლის 26 დეკემბერს დღის 12:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №35 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ დადგენილების გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2023 წლის 29 დეკემბერი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N:გ-95.95233425, 08.12.2023 წელი).

3. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა ვაჟა აბულაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი 12-95233411-95, 07.12.2023 წელი) და განმარტა, რომ

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას განახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ვაჟა აბულაძე). (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული;).

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2023 წლის 25 დეკემბერს დღის 18:00 საათამდე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2023 წლის 26 დეკემბერს დღის 12:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2023 წლის 29 დეკემბერი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -18
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N:გ-95.95233424, 08.12.2023 წელი).

4. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა ვაჟა აბულაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი 12-95233411-95, 07.12.2023 წელი) და განმარტა, რომ საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას განახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ვაჟა აბულაძე). (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული;).

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2023 წლის 25 დეკემბერს დღის 18:00 საათამდე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2023 წლის 26 დეკემბერს დღის 12:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2023 წლის 29 დეკემბერი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 3 (შორენა კარანაძე, ირაკლი მახარაძე და ჯემალ დავითაძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N:გ-95. 95233423, 08.12.2023 წელი).

5. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა ბადრი სურმანიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი 12-95233411-95, 07.12.2023 წელი) და განმარტა, რომ ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო დაწესებულებაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა არ უნდა აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 10%-ს.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მიზანია შეთანხმებული იქნას ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების რიცხოვნობა, რომელიც განისაზღვრა 70 (სამოცდაათი) ერთეულით.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა ჯემალ დავითაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, წარმოდგენილი ხელშეკრულებები ერთჯერადი ხასიათის იყო, თუ ხდებოდა მისი გაგრძელება სამომავლოდაც. აქვე აღნიშნა, რომ თუ აღნიშნული ხელშეკრულებები იდება ერთდაიგივე პიროვნებასთან, უმჯობესი იქნებოდა შტატით ყოფილიყო გათვალისწინებული.

მომხსენებელმა განმარტა, რომ მუნიციპალიტეტში დასაქმებულია რამოდენიმე შტატგარეშე თანამშრომელი, რომლთანაც ხელშეკრულებების განახლება ხდება ყოველწლიურად. აქვე განმარტა, რომ წარმოდგენილი ხელშეკრულებების დიდი ნაწილი ადმინისტრაციულ ერთეულებში დასაქმებულ სპეციალისტებზე მოდიოდა, რომლებიც დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესრულების უფლებამოსილებას ანხორციელებენ. ამიტომ მათი შტატში გათვალისწინება კანონით არ არის განსაზღვრული.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -15
წინააღმდეგი - 3 (შორენა კარანაძე, ირაკლი მახარაძე და ჯემალ დავითაძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N:გ-95.95233422, 08.12.2023 წელი).

6. მოისმინეს: ,,მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა მამია გვარიშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა „მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი 12-95233394-95, 05.12.2023 წელი) და განმარტა, რომ ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია ახალი რეგულაციის შემოღება კერძოდ: სპორტის სფეროში მოასპარეზე წარმატებული სპორტსმენების, მწვრთნელებისა და გუნდების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესება, მისი გაცემის წესის დამტკიცება და ფულადი ჯილდოს ოდენობები განისაზღვრა საპრიზო ადგილების მიხედვით. სწორედ ამ მიზეზით ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ შეიმუშავა შესაბამისი სამართლებრივი აქტის - საკრებულოს განკარგულების პროექტი და დასამტკიცებლად წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა ჯემალ დავითაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, წარმოდგენილი საპრიზო თანხების გამოყვანა რაიმე ფორმულით იქნა შემუშავებული თუ პიროვნული მიდგომით იყო გათვალისწინებული, ასევე დაინტერესდა მუნიციპალიტეტის ჩემპიონობის შემთხვევაში პირველ ადგილზე გასული საპრიზო თანხა რამდენი იყო.

მომხსენებელმა მამია გვარიშვილმა კითხვებთან დაკავშირებით განმარტა, რომ სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარების საფუძველზე მოხდა წარმოდგენილი საპრიზო თანხების შემუშავება, რაც შეეხება მუნიციპალიტეტში პირველ ადგილზე გასული პიროვნების საპრიზო თანხას- 150 ლარს შეადგენდა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს
კენჭსყრის შედეგები:
მომხრე -18
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N:გ-95.95233421, 08.12.2023 წელი).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 16:40 საათზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **ამირან ცინცაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი
სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში **ნონა თებიძე**